



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება

09/02/2024



MES 4 24 0000138795

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ინდივიდუალური მეწარმის მიერ რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის/მონაცემების ასახვის მიზნით ვადების განსაზღვრის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 05 თებერვლის №111513 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 ივნისის №337 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი“-ს (შემდგომ - წესი) მე-5 მუხლის 7² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. პირველადი რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში რეგისტრირებული ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი ინდივიდუალური მეწარმის მიერ რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში, წესის მე-3 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული ინფორმაციის/მონაცემების (ინდივიდუალური მეწარმის/ინდივიდუალური მეწარმეების პირადი ნომრის/ნომრების მითითებით) ასახვის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 12 თებერვლიდან 12 მარტის ჩათვლით პერიოდი.
2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

